საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 27 აპრილი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/25

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის, მოსამზადებელი კურსების, დამატებითი სპეციალობის და საგნის/საგნების გავლის, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის, მოსამზადებელი კურსების, დამატებითი სპეციალობის და საგნის/საგნების გავლის, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის თანახმად დანართისა.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

2013 წლის 27 აპრილის №04-01/25 დადგენილების

დანართი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის, მოსამზადებელი კურსების, დამატებითი სპეციალობის და საგნის/საგნების გავლის, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატების გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი ადგენს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის, მოსამზადებელი კურსების, დამატებითი სპეციალობის და საგნის/საგნების გავლის, დამადასტურებელი სერთიფიკატის და მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემისა და აღრიცხვა–ანგარიშგების სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 2. მოწმობასა და სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი პირები

მოწმობა ან სერტიფიკატი გაიცემა პირზე, რომელმაც

- აითვისა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, ჩააბარა გამოცდები და დროულად დაფარა დაწესებული გადასახადი.
- აითვისა დამატებითი სპეციალობის კრედიტები, ჩააბარა გამოცდები და დროულად დაფარა დაწესებული გადასახადი.
- აითვისა არჩევითი ბლოკის საგანი/საგნები, ჩააბარა გამოცდები და დროულად დაფარა დაწესებული გადასახადი.
- გაიარა მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა, ჩააბარა გამოცდები და დროულად დაფარა დაწესებული გადასახადი.
- სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტზე/მოქალაქეზე, რომელმაც ჩააბარა გამოცდები და დროულად დაფარა დაწესებული გადასახადი.

სათანადო საბუთების (განცხადება, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის, ან შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა) წარმოდგენის შემდეგ ზემოთჩამოთვლილი პროგრამისა და კურსების გავლა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც აქვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან არის სტუდენტი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა.

მუხლი 3. სერტიფიკატის/მოწმობის შემუშავება

1. სერტიფიკატის/მოწმობის ფორმას შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. სერთიფიკატი/ მოწმობა იბეჭდება დადგენილი წესით.
2. სერტიფიკატი /მოწმობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად რეკვიზიტებს:
2.1. უნივერსიტეტის სრული დასახელება, აგრეთვე მისი სამართლებრივი ფორმა;
2.2. მითითება „სერტიფიკატი“ ან „მოწმობა“;
2.3. უნივერსიტეტის ლოგო;
2.4. სერტიფიკატის/მოწმობის სერია (ლათინური ასოები BATU) და ინდივიდუალური ნომერი;
2.5. პირის სახელი, გვარი, რომელზეც გაიცემა სერტიფიკატი/მოწმობა;
2.6. კურსის დასახელება;
2.7. კრედიტების რაოდენობა (იმ შემთხვევაში თუ კურსს ენიჭება კრედიტები);
2.8. კურსის გავლის პერიოდი;
2.9. რექტორის სახელი და გვარი (ბეჭდურად), ხელმოწერა;
2.10. სერტიფიკატის/მოწმობის გაცემის ადგილი და თარიღი (მაგ. ბათუმი 2013), სადაც გაიცა სერტიფიკატი/მოწმობა;
2.11. უნივერსიტეტის ბეჭედი.

მუხლი 4. სერტიფიკატის/მოწმობის დამზადება

1. სერტიფიკატის/მოწმობის ტექსტი არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური ენები);
2. სერტიფიკატი/მოწმობა მზადდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 5. სერტიფიკატის/მოწმობის გაცემა

1. სერთიფიკატის/მოწმობის გაცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის (სადაც ხორციელდება აღნიშნული პროგრამები) დეკანატიდან წარმოდგენილი ინფორმაცია სერთიფიკატის/მოწმობის მაძებლის მიერ შესაბამისი პროგრამის სრული კურსის გავლის და კრედიტების ათვისების შესახებ.
პროგრამის/კურსების/საგნის/საგნების დასრულების შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს მსმენელზე შესაბამისი სერთიფიკატის/მოწმობის გაცემის შესახებ.
2. ამ წესის მე–2 მუხლით განსაზღვრულ პირებზე სერტიფიკატი/მოწმობა გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
3. ამ წესის მე–2 მუხლით განსაზღვრული პირების მიერ გაცემული ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე სერტიფიკატი/მოწმობა შესაძლებელია გაიცეს შესაბამის უფლებამოსილ პირზეც.

4. სერტიფიკატის/მოწმობის შევსებას და გაცემას უზრუნველყოფს დიპლომების შენახვა გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, მოცემულ პიროვნებაზე რექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 6. სერტიფიკატის/მოწმობის შენახვა

სერტიფიკატის/მოწმობის შენახვას 5 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს დიპლომების შენახვა-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო შემდეგ მიღება–ჩაბარების აქტით გადასცემს არქივს.

მუხლი 7. სერტიფიკატის/მოწმობის აღრიცხვა-ანგარიშგება

1. სერტიფიკატის/მოწმობის აღრიცხვა ხორციელდება დანომრილ სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც ხელმოწერილია უნივერსიტეტის რექტორის მიერ და დამოწმებულია ბეჭდით.
2. სარეგისტრაციო ჟურნალში აღნიშნულია სერტიფიკატის/მოწმობის სარეგისტრაციო და ინდივიდუალური ნომერი, მფლობელის სახელი და გვარი, მფლობელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და სწავლის დამთავრების ვადები, გაცემის თარიღი და მიმღების ხელმოწერა.

მუხლი 8. სერტიფიკატის/მოწმობის დუბლიკატის დამზადება

1. სერტიფიკატის/მოწმობის დაკარგვის, განადგურებისა და გამოსაყენებლად უვარგისობის შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გასცეს სერტიფიკატის დუბლიკატი.
2. სერტიფიკატის/მოწმობის დუბლიკატის მოთხოვნით უფლებამოსილი პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 9. სერტიფიკატის/მოწმობის შეცვლა

სერტიფიკატის/მოწმობის შეცვლა ხდება მასში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში.

მუხლი 10. სერტიფიკატის/მოწმობის განადგურება

გამოსაყენებლად უვარგისი სერტიფიკატის განადგურება ხდება შევსების დროს დაშვებული შეცდომისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში.

სწორია:

დანართი 1

სერთიფიკატის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი

სახელი და გვარი	პროგრამის დასახელება	პროგრამაზე ჩარიცხვის თარიღი	დამთავრების თრიღი	სერთიფიკატის №	გაცემის თრიღი	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის № და ხელმოწერა მიღებაზე
1	2	3	4	5	6	7

დანართი 2

მოწმობის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი

სახელი და გვარი	პროგრამის დასახელება	პროგრამაზე ჩარიცხვის თარიღი	დამთავრების თრიღი	მოწმობის №	გაცემის თრიღი	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის № და ხელმოწერა მიღებაზე
1	2	3	4	5	6	7

სწორია: